დანართი N-4
დამტკიცებულია სკოლა-გიმნაზიის მმართველი
დირექტორის მიერ ბრძ.N-60/003 24.07.2024წ.

ა(ა)იპ წყალტუბოს წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

წყალტუბო

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.წინამდებარე წესი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს.

ასევე, წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას გაუმჯობესების მიზნებისთვის.

მუხლი 2. მიზანი

1. წინამდებარე წესის მიზანს წარმოადგენს:

1.1. შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის;

1.2. საზოგადოების როლის ზრდა სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის გაუმჯობესებაში.

2. შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს სწორი და დროული ინფორმაციის გავრცელებასა და მოპოვებას როგორც სკოლა-გიმნაზიის შიგნით, ასევე სკოლა-გიმნაზიის გარეთ, მიზანმიმართული საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებითა და საზოგადოების ჩართულობით.

მუხლი 3.

1. სკოლა-გიმნაზია ცდილობს საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობების დამყარებას და ზრუნავს მის შენარჩუნებაზე.
2. სკოლა-გიმნაზია საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდს -www.gabrielisgimnazia.ge ელექტრონულ ფოსტასwmgabrielisgimnazia@gmail.com და გვერდს სოციალურ ქსელში (facebook (ფეისბუქი) - წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია) .
3. ვებგვერდი წარმოადგენს სკოლა-გიმნაზიის შესახებ ინფორმაციის მასობრივი გავრცელების მთავარ საშუალებას:

   4.1 ვებ გვერდზე დატანილია ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რაც იძლევა საგანმანათლებლო სივრცეში სკოლა-გიმნაზიის ადგილისა და როლის ამოცნობის საშუალებას.

   4.2 ვებგვერდზე წარმოდგენილია საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია და დროული სიახლეები.

   4.3 ვებგვერდზე აისახება როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები.

   4.4 ვებ გვერდზე განსათავსებელად საჭირო ინფორმაცია ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლ პირს მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

   4.5 ვებგვერდი ვიზიტორებისთვის იძლევა სკოლა-გიმნაზიისთვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებას, შემოსულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის/გადამისამართების პრეროგატივა აქვს მმართველი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს.
5. სოციალური ქსელში შექმნილი სხვადასხვა თემატიკის ჯგუფებში ხდება შესაბამისი, ზოგიერთ შემთხვევაში მომხმარებლების მიერ მოთხოვნილი, ინფორმაციის გაზიარება-გავრცელება.

მუხლი 7. კომუნიკაცია თანამშრომლებთან

1. სკოლა-გიმნაზია თანამშრომლებში, ქმნის პოზიტიურ სივრცეს, სადაც კომუნიკაციაში ჩართული მხარეები კომფორტულად გრძობენ თავს.

2. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, მმართველი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სკოლა-გიმნაზიის ვებ გვერდი, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა და სკოლა-გიმნაზიის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.

3.მმართველი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი შეხვედრების ფორმატით ან/და ელქტრონული ფოსტის საშუალებით აცნობს თანამშრომლებს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და აწვდის დეტალებს გავრცელების მიზნით.

მუხლი 8. კომუნიკაცია მოსწავლეებთან/მსმენელებთან

1. მოსწავლეებისთვის დადებითი სასწავლო გარემოს შექმნას ცდილობს სკოლა-გიმნაზიის ყველა თანამშრომელი.
2. მოსწავლეებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, მმართველ დირექტორთან ან/და მმართველი დირექტორის მოადგილეებთან შეთანხმებით.
3. მოსწავლეებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება სკოლა-გიმნაზიის ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, სკოლა-გიმნაზიის შენობის ღია სივრცე, სადაც გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია, სატელეფონო კავშირი. ასევე ინფორმაციის მიწოდება პირდაპირი კომუნიკაციის გზით ხდება აუდიტორიებში ან შეხვედრის ორგანიზებით.

მუხლი 9 . უკუკავშირის შედეგები და ანალიზი

1. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია მისი მოლოდინების ეფექტური დაკმაყოფილებისთვის.
2. სკოლა-გიმნაზიაში საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პროცესში, გაცნობიერებულია უკუკავშირის დადებითი ეფექტები.
3. სკოლა-გიმნაზიაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი.
4. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის.
5. ანალიზს წარმართავს მმართველი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი “ დამტკიცება და ასევე მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება სკოლა-გიმნაზიის მმართველი დირექტორის ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემით.